ოქმი №8

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სახდომისა, რომელიც ჩატარდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 12 სექტემბერს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:40 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები – ი. ქარდავა, ი. ცხვიტავა, მ. გვიჩია, ზ. ყურაშვილი, კ. ტორჩინავა, მ. ნანეიშვილი, ლ. კუჭავა, მ. ფირცხალავა, ნ. ტყებუჩავა.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“-ს დირექტორის მოადგილე: რ. მიშველია; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზ. ნაჭყებია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – ინგა ქარდავა.

დღის წესრიგი:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“დირექტორის მოადგილე: რ. მიშველია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინა: ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ დირექტორის მოადგილე: რ. მიშველია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა - ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობა.

აზრი გამოთქვეს: მ. ფირცხალავამ, მ. ნანეიშვილმა, მ. გვიჩიამ, ზ. ნაჭყებიამ, ი. ქარდავამ.

კომისიის წევრებმა ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ დირექტორის მოადგილეს მიმართეს თხოვნით ბაღებში თანხების აკრძალვასთან დაკავშირებით.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 7, წინააღმდეგი - 2) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის მოსმენისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თვმჯდომარე: ინგა ქარდავა